

აფხაზეთის შესახებ

(1907)

გაზეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მე მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს. იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე, როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე.

30 წლის წინათ მე მომიხდა რამდენიმე თვეს სოხუმში ცხოვრება და იშვიათად შემხვედრია სოფლელი აფხაზი, რომელსაც ქართული ლაპარაკი ესმოდა. იმავე დროს მე არ მინახავს არც ერთი მეგრელი, რომელსაც ეგვე ენა არ ესმოდა. აი რა განსხვავებაა აფხაზთა და მეგრელთა ქართულიზმებს შორის. ამ განსხვავების შედეგი იყო, რომ მაშინ, როცა მეგრელები ყველა საუკუნეში ყველაზე საქმიან მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული სასულიერო და საერთო ლიტერატურის გამდიდრებაში თავისი ნიჭიერ ნაწარმოებებით, აფხაზებისათვის ასეთი მონაწილეობა სრულიად უცხო იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული წარმოშობის ზოგიერთ არისტოკრატს.

ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისათვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც, არც ერთი ქართველი არ უნდა მოგვაგონებდეს იმ ველურს, რომელმაც კითხვაზე - რა არის სიკეთე და რა - ბოროტება? - უპასუხა სიკეთეა, როცა ცოლს ვართმევ მეზობელს, ხოლო ბოროტებაა, როცა მეზობელი მართმევს ცოლსო. არ უნდა მოგვაგონებდეს იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიულ ტრადიციებს. ქართველები ყველა საუკუნეში ზეიმობდნენ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობას, რომლებიც მათს სამეფოში შედიოდა, და ანიჭებდნენ მათ ყველა უფლებას, რითაც თვითონ სარგებლობდნენ. თამარ მეფემ XII საუკუნეში აკრძალა სიკვდილით დასჯა და მკაცრი ფიზიკური სასჯელის გამოყენება არა მარტო ქართველების, არამედ სომხების, თათრების და სხვათა მიმართაც. სხვა ეროვნების უფლებებისადმი პატივისცემა იმდროინდელ ჩვენს სამეფოში იქამდეც კი მიდიოდა, რომ ისეთი მძლავრი და წმინდანი მეფე, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, არაიშვიათად დადიოდა სომხურ ტაძარში და მაჰმადიანურ მეჩეთში. და რადგან ქართველთა სამეფოში არ იყვნენ გერები და ბედკრულები, თავისი სამეფოს საზღვრებს ყველანი ისე თავდადებით იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები. სწორედ ამით აიხსნება ქართველთა პატარა სამეფოს განსაცვიფრებლად ხანგრძლივი არსებობა დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას. პურიშკევიჩებს კი ერთსა და იმავე დროს უნდათ ინოროდცები გადააქციონ

სრულყოფილ მონებად და ამავე დროს მოითხოვონ მათგან სახელმწიფოს თავდადებით დაცვა. მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს!

ერთი წუთით დავუბრუნდეთ აფხაზეთს. უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მოითხოვა კიდეც მონაწილეობა მიმელო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შედგენაში. ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში.

...აფხაზთა გამოფხიზლებისა და კულტურულობის გზაზე მათი დადგომის წყალობით უწინდელი გარეგნული ერთიანობა ქართველებთან შეიცვლება შინაგანი სოლიდარობით და ინტენსიური ძმობით, რასაც ძლიერ შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ მხოლოდ ქართველთა შორის არის აფხაზური ენის ავსებით დაუფლებულ პირთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი. რაც შეეხება სოხუმელ ქართველოფილთა ისეთ ჩხირკედელობებს, როგორცაა აფხაზთათვის მეგრული გვარის დაბოლოებების შეცვლა იტალიურით, იგი გამოიწვევს მხოლოდ ერთ რამეს - სიცილს, და მეტს არაფერს.